**განმარტებითი ბარათი**
**დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტზე**

*„დუშეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეების სოციალური დახმარებისა და ჯანდაცვის პროგრამებისა და პროგრამებში მონაწილეობის წესების დამტკიცების შესახებ“ დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 26 დეკემბრის N37 დადგენილებით დამტკიცებულ დანართში ცვლილების შეტანის თაობაზე*

**ნორმატიული აქტის პროექტის მიღების მიზეზი**

წარმოდგენილი ნორმატიული აქტის მიღების მიზეზია სოციალური/ჯანდაცვის პროგრამების მარეგულირებელი ნორმების დახვეწა, ადმინისტრირების პროცესში გამოვლენილი პრაქტიკული საჭიროებების შესაბამისად ცალკეული კრიტერიუმების დაზუსტება. ამასთან, შეტანილი ცვლილებებით უფასო სასადილოს სერვისის მიმღებ ბენეფიციარად განისაზღვრება დუშეთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები, (და არა რეგისტრირებული) პენსიონერი.

**ნორმატიული აქტის დამახასიათებელი ძირითადი ნიშნები**

პროექტით „დუშეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეების სოციალური დახმარებისა და ჯანდაცვის პროგრამები და პროგრამებში მონაწილეობის წესებში“ შეტანილია რიგი ცვლილებები. კერძოდ: შეიცვალა 2025 წლის 26 დეკემბრის N37 დადგენილების სათაური და ამავე დადგენილების პირველი მუხლი; 2025 წლის 26 დეკემბრის N37 დადგენილების დანართში განხორციელდა შემდეგი ცვლილებები: შეიცვალა დანართის სათაური; ამოღებულია მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტი; ამოღებულია მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი; ამოღებულია მე-13 მუხლის მე-3 პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტი; ამოღებულია მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი; ამოღებულია მე-20 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი; ცალკეული ცვლილებები შეტანილია შემდეგ მუხლებში: მე-12 მუხლის მე-2 პუნქტში; მე-12 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში; მე-12 მუხლის მე-6 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტში; მე-12 მუხლის მე-6 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტში; მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტში; მე-19 მუხლის პირველ პუნქტში; მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტში; მე-20 მუხლის პირველ პუნქტში; მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტში;

**იმ შედეგების საფინანსო - ეკონომიკური გაანგარიშება, რომლებსაც გამოიწვევს წარდგენილი პროექტის მიღება.**

პროექტის მიღება არ მოითხოვს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან დამატებითი ფინანსური სახსრების გამოყოფას, არ იწვევს ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის დაგეგმილზე მეტად ზრდას ან/და მუნიციპალიტეტის მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას. პროგრამების დაფინანსება განხორციელდება დუშეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით სოციალური და ჯანდაცვის პროგრამებისთვის უკვე გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში.

ნორმატიული აქტის პროექტის მიღება გავლენას არ იქონიებს დუშეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე (არ იწვევს შემოსავლების ზრდას ან კლებას).

**ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის პროექტის მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება**

აქტის მიღება არ ახდენს გავლენას ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე. დადგენილების პროექტით დარეგულირებული სოციალური და ჯანდაცვის პროგრამები (მათ შორის უფასო სასადილოს სოციალური სერვისი, ვეტერანთა დახმარება და სხვ) თანაბრად ხელმისაწვდომია ორივე სქესის

წარმომადგენლებისთვის, მათი სოციალური და ეკონომიკური საჭიროებების (ასაკი, ჯანმრთელობის მდგომარეობა, ვეტერანის სტატუსი, სოციალური სარეიტინგო ქულა) გათვალისწინებით. პროექტი არ შეიცავს რაიმე დისკრიმინაციულ ნორმებს და უზრუნველყოფს თანასწორობის პრინციპების სრულ დაცვას.

**ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ნორმატიული აქტის ზეგავლენის შეფასება**

წარმოდგენილი პროექტი უარყოფით გავლენას არ ახდენს ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე. პროექტით შემოთავაზებულია სოციალური პროგრამების ადმინისტრირების გაუმჯობესებული წესი (მათ შორის კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ოჯახების ქვეპროგრამის), რაც ხელს უწყობს ოჯახების გაძლიერებას და ბავშვებისთვის უფრო სტაბილური, კეთილსაიმედო და უსაფრთხო გარემოს შექმნას.

**პროექტის ავტორი:**

დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი თამილა ნადირაშვილი.

**წარმდგენი:**

დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი თამილა ნადირაშვილი.